პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 სექტემბერი ოთხშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 210 (14814)

XXIV

შენთვის, საყვარელო სამშობლოვ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრებთან მუშაობა — მთავარი რგოლი

ცხოვრება ერთ ადგილზე არ ჩერდება. იგი მოძრაობს, დუღს, იცვლება. სწორედ ამიტომ კაცსაც ყოველდღიურად უფრო რთული საქმე უჩნდება, საზრუნავი ემატება.

ავიღოთ ჩვენი კომუნისტური მშენებლობის მასშტაბები. ისინი სულ ახალ და ახალ ამოცანებს, ახალ პრობლემებს აყენებენ. მათ გადასაწყვეტად საჭიროა საქმის ღრმად შესწავლა, შემოქმედებითი მიდგომა. ეს კი შეუძლებელია თუ არ გვეყოლა მცოდნე, გამოცდილი და ყოველმხრივ განათლებული ადამიანები, რომლებსაც ყოველივე ამასთან ერთად აქვთ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, სპეტაკი გული და საქმის სიყვარული.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, პოლიტიკას ადამიანები ეწევიანო. დიახ, პარტიის პოლიტიკის ცხოვრებაში წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იმყოფება ხელმძღვანელობის გადამწყვეტ პოსტებზე. სწორედ ამიტომ კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მუშაობას ეწევიან კადრების შერჩევის, განაწილების, სწავლებისა და აღზრდისათვის, მუდამ ზრუნავენ, რომ ჩვენი დიდი შრომისა და ალმშენებლობის ყოველ უბანს ხელმძღვანელობდნენ ადამიანები, რომლებიც პატიოსნად, თავდადებით ემსახურებიან მშრომელებს, ქვეყანას, უნარიანად დაიცავენ და ცხოვრებაში გაატარებენ პარტიის პოლიტიკას.

უკანასკნელ ხანს, სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განვითარებისათვის, შეიქმნა იმის ხელსაყრელი პირობები, რომ თვითეულმა უკეთ გამოავლინოს თავისი ორგანიზატორული შესაძლებლობა და უნარი. ამან კეთილსაყოფიერად იმოქმედა ბევრი შრომითი კოლექტივის საქმიანობაზე.

პრაქტიკულ, ცოცხალ სამუშაოზე დაოსტატდა და გამოიწრთო ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების მრავალრიცხოვანი არმია. ბევრი საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გაეთქვა სახელი ორგანიზატორული ნიჭით, საქმისადმი უანგარო სიყვარულით, ახალი საშუალებებისა და რეზერვების დროულად მიგნების უნარით.

მაგალითისათვის ავიღოთ ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა. ეს საწარმო ამუშავების დღიდან გეგმებს ვერ ასრულებდა, ჩამორჩებოდა თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მაგრამ 1968 წლიდან, რაც ქარხანას კომუნისტი ჯ. გურგენიძე ჩაუყენეს სათავეში, რომელსაც უკვე ჰქონდა სამეურნეო და პარტიული მუშაობის გამოცდილება, საქმეც ადგილიდან დაიძრა. საწარმოს კოლექტივი ახლა არა თუ სისტემატურად ასრულებს გეგმებს, არამედ ქალაქში ერთ-ერთი მოწინავეც ჯრის.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, წარმატებებს აღწევენ უპირველეს ყოვლისა იქ, სადაც კარგად არის ორგანიზებული ადამიანთა შრომა, სადაც თვითეულს შეგნებული აქვს მინდობილი საქმისათვის თავისი პასუხისმგებლობა და მაღალ მოთხოვნებს უყენებს როგორც საკუთარ თავს, ისე სხვას. პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან, რომ ასეთნაირად იყოს ორგანიზებული შრომა ყველა საწარმოში, ყველა მშენებლობაზე, ყველა კოლმეურნეობასა და დაწესებულებაში. იდეოლოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობას რომ ვაძლიერებთ, მთავარი ყურადღება მიმართული უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა ხელმძღვანელი კადრების, ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ, იმისაკენ, რომ ისინი მკაცრად იცავდნენ პარტიულ, სახელმწიფოებრივ და შრომის დისციპლინას, აუცილებლად ასრულებდნენ საგეგმო დავალებებს, პარტიისა და მთავრობის დირექტივებს.

რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობის ხელოვნება დამამდებიდან როდი დაჭყვება ადამიანს. იგი პრაქტიკულ, ცოცხალ სამუშაოზე უნდა შეიძინო. სწორი როდია ის აზრი, როცა ამ ხელოვნებას მხოლოდ კაცის ნიჭს, ინდივიდუალურ უნარს მიაწერენ. მაზმაზარეული კადრები არ არსებობენ. ადამიანის ნიჭი და უნარი ხელმძღვანელობისა კი მთელი სიცხადით იქ გამოჩნდება ხოლმე, სადაც სათანადო ყურადღებას უთმობენ კადრების სწავლებასა და აღზრდას, სწორად ურჩევენ მათ საქმეს, მხედველობის არედან არ უშვებენ მათ, პრაქტიკულად ეხმარებიან ხიძნელეების გადალახვაში.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ საქალაქო და რაიონულ პარტიულ კომიტეტს, პირველადს პარტორგანიზაციას კარგად ესმით, რომ კადრებთან მუშაობა მთავარი რგოლია პარტიულ ხელმძღვანელობაში. ამიტომ ისინი სწორად აწყობენ ძველი და ახალგაზრდა კადრების შეხამებას, ხელმძღვანელ სამუშაოზე გაბედულად აწინაურებენ ქალებს, ამათთან ერთად მთავარ ყურადღებას აქცევენ კადრების აღზრდას, რისთვისაც იყენებენ ისეთ ფორმებს, როგორიც არის წრეები და სემინარები პარტიული და სამეურნეო აქტივისათვის, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, პარტჯგუფორგების სკოლები, თამბირები, კითხვა-პასუხის საღამოები, კონსულტაციები, ბევრგან მოწყობილია პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ოთახები, კაბინეტები, სადაც აქტივი ეცნობა პარტიული მუშაობის მთავარ საკითხებს, მოწინავე ორგანიზაციათა დადებითს გამოცდილებას.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტიკასა და თვითკრიტიკას კადრების მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით აღზრდისათვის. პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების პლენუმებისა და ბიუროების სხდომების, პარტორგანიზაციათა კრებების ოქმები რომ გადავსინჯოთ, ხშირად შევხვდებით საკითხებს კადრებთან მუშაობის შესახებ. ეს კარგია. მაგრამ ცუდია ის, რომ ზოგან ასეთი საკითხები განხილულია ზედაპირულად, „ჯვლის მოხდის მიზნით", კომუნისტები გაბედულად არ აკრიტიკებენ იმათ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მუშაობის ჩაშლაში ან არ ასრულებენ საგეგმო დავალებებს.

ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, რომელმაც მაღალი მომთხოვნელობის ვითარებაში ჩაიარა, მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი ის პარტიული კომიტეტები, რომლებმაც შეახუსტეს დახმარება და კონტროლი კადრებისადმი, ხელმძღვანელი მუშაკებისადმი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან საწარმოთა და მეურნეობათა უუნარო ორგანიზატორები, ზოგჯერ უსუსური მუშაკებიც კი. როგორც პლენუმზე ითქვა, სწორედ ამით აიხსნება, რომ ხშირად იცვლებიან კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ასპინძის, ზუგდიდის, კასპის, ონის, თერჯოლის, ცაგერის, წალენჯიხის, წულუკიძის რაიონებში, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ რაიონში. ზოგჯერ ასეც ხდება: ადგილიდან ადგილზე გადაყავთ ხოლმე მუშაკები, რომლებმაც საქმეს თავი ვერ გაართვეს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კომუნისტების მიმართ უფრო გაბედულად უნდა გამოიყენონ ზემოქმედების ისეთი ფორმა, როგორიც არის პარტიული სასჯელი. მაგრამ თუ არასწორად გამოვიყენებთ, ეს თავის მნიშვნელობას დაკარგავს, ანა რათ ვარგა, როცა კომუნისტს ზედზედ 3-4 საყვედურს გამოუცხადებენ, საქმე კი ადგილიდან მაინც არ იძვრის.

განსაკუთრებით უნდა ვებრძოლოთ ისეთ საშიშ ხენს, როგორიც არის თვითკმაყოფილება, უპრინციპობა, მოღალვნილობა. საქმისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება. ბევრ ადგილას ასეთ ფაქტებზე ბევრ ლაპარაკობენ, ოღონდ ეს ფაქტები ზოგჯერ ბოლამდე ვერ მიდის. ეს ფაქტები ხშირად ეხებიან ადამიანებს, ვინ ვინ ვინ ... ეს ... ეს ... ...

დავეუფლოთ ეკონომიურ ცოდნას

● ახალი სასწავლო წლის წინ

თვითეული რომ პასუხს აგებდეს

ჩვენი ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა საშეურნეო რეფორმის განხორციელებამ დღის წესრიგში დასვა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების, მისი რეზერვების დროულად გამოვლენისა და ამოქმედების საკითხები, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების მართვაში მშრომელთა შეგნებულ და აქტიურ მონაწილეობას, მათი ეკონომიური ცოდნის დონის შემდგომ ამაღლებას. პარტიის ეკონომიური პოლიტიკის პროპაგანდაში მშრომელთა ეკონომიური განათლების შემდგომ ზრდასა და სრულყოფაში კი, როგორც ცნობილია, გადამწყვეტ როლს ასრულებს პარტიული სწავლების სისტემა.

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე 1970-1971 სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში დიდი ყურადღება მიექცევა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას.

დაწყებითს პოლიტიკურ სკოლებში ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიისა და პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების დაუფლების შემდეგ მსმენელებმა უნდა შეისწავლონ ასალი საგანი — „ეკონომიური ცოდნის საფუძვლები". მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოციალისტური ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდების საკითხთა უფრო ღრმად განმარტებას და 1971 წლის მარტიდან მოვწყოთ 5-6 სპეციალური მეცადინეობა თემაზე „თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და პარტიის ეკონომიური პოლიტიკა". უმაღლეს რგოლში ეკონომიური საკითხების შემსწავლელ სემინარებს დაემატება მთელი რიგი ახალი პრობლემები, მათ შორის „წარმოების ინტენსიფიკაცია სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა", „წარმოების ეკონომიური სტიმულირების თეორიული პრობლემები", „მარქსიზმ-ლენინიზმი საზოგადოების მეცნიერული მართვის შესახებ". მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების, პარტიული აქტივის სკოლების მსმენელები კი შეისწავლიან დამატებთს კურსს — „სკკპ ეკონომიური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე".

მშრომელთა ეკონომიური ცოდნის დონის შემდგომი ამაღლების აუცილებლობა ახალ ამოცანებს სახავს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების წინაშე. ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაშ უნდა ცხადყოს, რომ სკკპ პოლიტიკაში ორგანულად არის შერწყმული ეკონომიური თეორია, სოციალისტური მეურნეობის წარმართვის ლენინური პრინციპები და მოწინავე პრაქტიკა, რომ იგი მეცნიერული პოზიციებიდან ასახავს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტივობის გაძლიერების რეალურად მოწმეფიებულ ამოცანებს.

საქმისადმი ასეთი მიდგომა სავსებით ბუნებრივია. ჩვენი პრაქტიკა, მეცნიერების, ტექნიკისა და საერთოდ წარმოების განვითარების მიღწეული დონე და მასშტაბები გარდუვალად მოითხოვს მშრომელთა ეკონომიური ცოდნით აღჭურვას, მათ ეკონომიური განათლების დონის შემდგომ სრულყოფასა და ამაღლებას.

პოლიტიკური განათლების სისტემაში სწავლება კონკრეტული და საქმიანი უნდა იყოს. ყოველი დონისძიებით უნდა ვეცადოთ, რომ გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ წარმოების განვითარებაში არსებული უარყოფითი მოვლენების მიზეზები, დავძლიოთ დაბრკოლებანი. თვითეულ ქარხანასა და ფაბრიკაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ლექციების, საუბრებისა და სემინარების გარდა საჭიროა განსაკუთრებული ადგილი დაეთმოთ პრაქტიკულ მეცადინეობას ეკონომიურ ანალიზში.

ეკონომიური სწავლება განუყოფელია მშრომელთა კომუნისტური მოფლმხედველობის ჩამოყალიბებისაგან. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის, სკკპ და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების, სოციალისტური მეურნეობის წარმართვის ეკონომიური მეთოდების ღრმად დაუფლება იმის საწინდარია, რომ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს განვუმტკიცოთ მაღალი იდეურობა, მარქსიზმ-ლენინიზმისადან ყოველგვარი გადახვევისადმი შეურიგებლობა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდობის მიერ ეკონომიური ცოდნის დაუფლების საქმეს. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველი ღონისძიებით უნდა ეცადნენ, რომ არცერთი ახალგაზრდა მუშა, კოლმეურნე, სპეციალისტი არ დარჩეს ეკონომიურ სწავლებაში ჩაუბმელი.

კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემის საშუალო რგოლში, იქ, სადაც ეკონომიკის საკითხები არიან დაინტერესებული, უნდა შექმნან წრე „საუბრები სოციალისტურ ეკონომიკაზე", უმაღლესი რგოლის ეკონომიურ სემინარებზე კი მიზანშეწონილია შეისწავლონ შემდეგი პრობლემები: „სკკპ ეკონომიური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის", „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, მისი სოციალური და ეკონომიური პრობლემები", „წარმოების მართვის მეცნიერული საფუძვლები ეკონომიურ ინფორმაციათა სემინარებში", „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის თანამედროვე ეკონომიური და სოციალური პრობლემები".

მშრომელთა ეკონომიური ცოდნის შემდგომი ამაღლება დიდად არის დამოკიდებული პროპაგანდისტთა კადრების შერჩევაზე, მომზადებასა და გადამზადებაზე. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა პროპაგანდისტთა მომზადებისა და გადამზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მათი სპეციალიზაციის საკითხებს.

ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე ლექციების წასაკითხად, სემინარების და კონსულტაციების მოსაწყობად ფართოდ უნდა მოვიზიდოთ სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, უმაღლეს სასწავლებლთა მასწავლებლები და მეცნიერი თანამშრომლები. პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებთან, საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციებთან ერთად ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მოაწყონ ყველა ფილიალი ეკონომიური სწავლის პროპაგანდისტთა სემინარები, იმ ამსახველების მოსამზადებლად, რომლებსაც განსაკუთრებით სჭირდებათ თეორიული ცოდნის შევსება და მეთოდური გამოცდილების სრულყოფა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლს განზრახული აქვს დაწყებითი პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების ხელმძღვანელთა გადამზადების მიზნით მოაწყოს 3-დღიანი კურსები. კურსებზე პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების ხელმძღვანელებთან ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო სპეციალისტები მოაწყობენ ლექციებსა და საუბრებს პარტიული განათლების სისტემაში ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის ორგანიზაციის, სწავლების ფორმებისა და მეთოდების შერჩევის, პროპაგანდისტული ოსტატობის დახვეწისა და სრულყოფის საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოციალისტური ეკონომიკის ძირეულ პრობლემებს, მისი განვითარების მომავალ ამოცანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველკვირეულის „ეკონომიჩესკაია გაზეტას" 1970 წლის № 33-ში გამოქვეყნებულია დაწყებითს პოლიტსკოლებში შესასწავლი ახალი საგნის — „ეკონომიური ცოდნის საფუძვლების" სანმუშო პროგრამა. რეკომენდებულია, რომ რესპუბლიკის პირველადს პარტორგანიზაციებთან არსებულ დაწყებითს პოლიტსკოლებში აღნიშნული კურსის შესწავლას დაეთმოს 3 სასწავლო წელი. პროპაგანდისტებისა და მსმენელებისათვის „ეკონომიური ცოდნის საფუძვლების" ამ კურსის სასწავლო პროგრამა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

შესავალი მეცადინეობა. ეკონომიური ცოდნა — ყველა მშრომელს;

პირველი თემა. ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება;

მეორე თემა. სოციალისტური საწარმო;

მესამე თემა. სოციალისტური წარმოების მართვა;

მეოთხე თემა. სოციალისტური დაგეგმვის ორგანიზაცია;

მეხუთე თემა. შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ზრდა ძირეული ეკონომიური ამოცანაა;

მეექვსე თემა. პროდუქციის ხარისხი და წარმოების კულტურა;

მეშვიდე თემა. ტექნიკური პროგრესი და ტექნიკის გამოყენება;

მერვე თემა. მომჭირნეობის რეჟიმი [illegible] წარმართვა [illegible] მეთოდი;

მეცხრე თემა. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და [illegible];

მეათე თემა. შრომის ანაზღაურება და მატერიალური სტიმულირება;

მეთერთმეტე თემა. საწარმოს სამეურნეო ანგარიში;

მეთორმეტე თემა. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია.

მოწინავე გამოცდილება ყველა კოლექტივს.

აღნიშნული კურსის შესწავლის ჯალენდარული გეგმის შედგენისას ცალკეულ თემებზე დრო ისე უნდა განაწილდეს, რომ 1970-1971 სასწავლო წლის ბოლოს სკკპ XXIV ყრილობის მასალების, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესწავლისათვის გამოვყოთ 12 საათი, ხოლო მომდევნო სასწავლო წლებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებების შესწავლისათვის — 6-6 საათი.

თბილისის, ბათუმის, ჭუთაისის, რუსთავისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების პარტიულ ორგანიზაციებს, აგრეთვე ბევრ სასოფლო პარტიულ ორგანიზაციას ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის საკმაო გამოცდილება აქვს. ყოველივე, რაც დადებითია ამ გამოცდილებაში — პროპაგანდის ფორთო გაქანება, მასში მონაწილეობისათვის სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა მოზიდვა, სწავლების კავშირი პრაქტიკასთან და ა. შ., მომავალშიც სრულყოფილად უნდა გამოვიყენოთ.

ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლება დიდად არის დამოკიდებული პარტიის რაიონულ კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების ქმედითუნარიანობაზე, იმაზე, თუ ისინი შეიმუშავებენ ეკონომიური სწავლების პერსპექტიულ გეგმებს, ღრმად ჩასწვდებიან სწავლების შინაარსს, სარისხს და ანალიზს გაუკეთებენ შედეგებს. ეკონომიური ცოდნის პროპაგანდისა და პარტიის სამეურნეო პოლიტიკის მეჩიდრო კავშირურთიერთობა ქმნის პირობებს კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ვ. კურცხალია,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტი.

ბანის რაიონის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმამ, რომელსაც გ. ღვინერია ხელმძღვანელობს, უკვე შეასრულა სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა. წლის ბოლომდე სახელმწიფოს მიეყიდება კიდევ 30 ათასზე მეტი კვერცხი.

• • •

სურათზე: მოწინავე მეფრინველე ბ. ღვინერია.

ფოტო ი. ჰოსონელიძისა. (საქღესის ფოტოქრონიკა).

სიახლენი მაღაროებში

ჭიათურის მარგანეცრესტის საწარმოებში უკანასკნელ წლებში დიდი სამუშაოები განხორციელდა საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. დღეს მარგანეცის მრეწველობაში საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონე საკმაოდ მაღალია, მაგრამ არსებული მექანიზმები და მექანიზებული პროცესები უფრო მაღალ დონეზე რომ აგვეყვანა ან შეგვეცვალა მაღალი წარმადობის მექანიზმებით, უკანასკნელ პერიოდში შრომის მოწესრიგებ მეთოდების დანერგვას, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოებს კვლავ გაზორციელებთ.

მარგანეცის მრეწველობის მუშაებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ინიციატივა მიმართულია შრომის ნაყოფიერების ზრდის, შრომის პროცესების სრულყოფის, თვითღირებულების შემცირების, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და უსაფრთხო მუშაობისაკენ. ყოველივე ამას ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში ტრესტის ახალი ტექნიკის განყოფილება ემსახურება. უკანასკნელ წლებში მრავალი სიახლე დანერგა ტრესტის სხვადასხვა ობიექტზე.

ახალი ითხვისის მაღაროებში დანერგვის პროცესშია მაღნის ტრანსპორტირების ახალი საშუალება — ბუნკერ-მატარებელი, რომელიც ელექტროდამტვირთი მახვნია. ეს მეტად მოსახერხებელი მექანიზმია. 30-40 წუთში, ერთი რეისით შეუძლია სანგრევის გაწმენდა, მაშინ როცა ჩვეულებრივი ვაგონებით (დამტვირთავი მანქანების გამოყენებით). მთელი ცვლა, ან კიდევ მეტი დრო იყო საჭირო.

ახალოგიური მდგომარეობაა ორშპინდელიანი საბურღი ურიკის დანერგვის საქმეშიც. ეს მექანიზმი ბურღავს ორ ჭიანურ ხვრელს ერთ-ერთ ადგილზე. ეს ნიშნავს, ორ ადგილზე

მსოფლიო ფაქტი

ისრაელის მთავრობა საბოიკოტაჟს უწევს

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ისრაელის მთავრობამ განაცხადა, რომ „მონაწილეობას ვერ მიიღებს“ არაბეთ-ისრაელის კონტაქტებში, რომლებიც ნიუ-იორკში იმართება ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის გუნარ იარინგის ხელშეწყობით, თუნდაც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იერუსალიმიდან.

ისრაელის მთავრობას არ სურს განაგრძოს კონტაქტები ნიუ-იორკში და ამას იმით ასაბუთებს, თითქოს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას დაერღვიოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

სინამდვილეში ტელ-ავივის გადაწყვეტილება პოლიტიკური გაჭიანურების ლოგიკური დასასრულია, რომლის საშუალებით ისრაელი ცდილობს ხელი შეუშალოს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განხორციელებას. ტელ-ავივს ორ კვირაზე მეტი დასჭირდა ცეცხლის დროებითი შეწყვეტის ხელშეკრულების შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან, რათა ტეკოა თავის წარმომადგენლად დაენიშნა იარინგთან კონტაქტებში. მაგრამ ნიუ-იორკში პირველი შეხვედრისთანავე ტეკოა გაიწვიეს ტელ-ავივში „კონსულტაციებისათვის“.

ხანგრძლივი გაჭიანურების შემდეგ, რაც ფაქტიურად იარინგს შესაძლებლობას უსპობდა ნაყოფიერად განეხორციელებინა თავისი მისია, ტეკოა დღეს ნიუ-იორკში გაფრინდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ იარინგისათვის ეთქვა ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილების ამბავი.

კაირო, 7 სექტემბერი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც ოფიციალურად უარყოფს ისრაელის ბრალდებას, თითქოს სუეცის არხის ზონაში დაედგათ ახალი რაკეტები ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მემორანდუმში ხაზგასმულია, რომ „ისრაელის ბრალდება ეგვიპტის მიმართ მიზნად ისახავს იმას, რომ თავი აარიდონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულებას“. „სუეცის არხის ზონაში ამჟამად არსებული ყველა რაკეტა იქ იყო ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შეთანხმების ძალაში შესვლამდე“, — ნათქვამია მემორანდუმში.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისრაელს მიაწოდა გაცილებით მეტი შეტევითი იარაღი. „ის ფაქტი, რომ ისრაელი აძლიერებს საფორტიფიკაციო სამუშაოებს სინის ნახევარკუნძულზე ეგრეთწოდებული „ბარლევის ხაზის“ აღდგენისა და განმტკიცებისათვის, — აღნიშნულია მემორანდუმში, — მოწმობს, რომ ისრაელი არ აპირებს დატოვოს ეგვიპტის „თუთნილი სინას ნახევარკუნძული და შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია“.

„ეგვიპტეს“ — ხაზგასმულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მემორანდუმში, — არ დაუდგამს ახალი სარაკეტო დანადგარები სუეცის არხის ზონაში ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ და მას კვლავაც დაიცავს“.

ტელეტაიპის ლენტიდან

საბჭოთა მსახიობების გასტროლები

● **ქაბული, 7 სექტემბერი. (საკდესი). ავღანეთში დამთავრდა მოსკოვის სახელმწიფო ესტრადის, ცირკისა და მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა გასტროლები. ისინი ავღანეთში ჩამოვიდნენ მთავრობის მოწვევით დამოუკიდებლობის 51 წლისთავის დღესასწაულზე. დასში შედიოდნენ მოსკოვის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თათრეთის ასსრ სხვადასხვა ჟანრის მსახიობები. საბჭოთა მსახიობებმა გამართეს თერთმეტი კონცერტი „ქაბულ ნანდარეს“ საუკეთესო თეატრში და ქაბულის თეატრის საზაფხულო სცენაზე.**

მშვიდობის მომხრეთა მიმართვა

● **კაირო, 8 სექტემბერი, (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა ეროვნულმა საბჭომ მოუწოდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოაწყოს სხვადასხვა ქვეყანაში ფართო კამპანია ისრაელის ხელისუფალთა იმ გადაწყვეტილების დასაგმობად, რომ შეწყვიტონ კონტაქტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელთან გუნარ იარინგთან.**

პატრიოტთა წარმატებანი

● **პანოი, 8 სექტემბერი. (საკდესი). ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა აგვისტოში ასზე მეტი წარმატებული ოპერაცია განახორციელეს. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, რომელიც კოსან პატეტლაოს სააგენტოს იმოწმებს, ამ პერიოდში პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის რვაასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.**

ჩამოგდებულია ლაოსში

● **პანოი, 8 სექტემბერი. (საკდესი). ლაოსელმა პატრიოტებმა ამერიკელთა კიდევ სამი ვერტმფრინავი ჩამოაგდეს. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, 1964 წლის 17 მაისიდან ლაოსის ცაში ჩამოგდებული და დედამიწაზე განადგურებული ამერიკული თვითმფრინავებისა და ვერტმფრინავების საერთო რიცხვი 1524-ს შეადგენს.**

სტიქიური უბედურება

● **დელი. 7 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. მატიაში იუწყება:**

უდიდესი ძალის მუსონური ქარიშხალი დაატყდა თავს დასავლეთ ბენგალიის დედაქალაქ კალკუტას. ქალაქი უსიცოცხლო კუნძულს წაგავს, რომელიც გარშემორტყმულია წყლის ამობოქრებული ტალღით. წყალმა დატბორა კალკუტის ინდუსტრიული გარეუბნები. შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა დელსა და ბომბეის შორის. უმოქმედოდაა კალკუტის საერთაშორისო აეროპორტი.

ამობოქრებული მდინარე წარმადა და მისი შენაკადები საფრთხეს უქმნიან ინდოეთის ნაკოშმოპოვების დიდმნიშვნელოვან რაიონს — გუჯერათის შტატს. შეწყდა სარკინიგზო და სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირი შტატის დედაქალაქ ამმედაბადსა და ბომბეის შორის.

წყალდიდობის მსხვერპლნი

● **უარანი, 8 სექტემბერი. (საკდესი). კოკისპირულმა წვიმებმა აღმოსავლეთ პაკისტანში კვლავ სერიოზული უბედურება გამოიწვია. როგორც პაკისტანის დეპეშათა საგენტო იუწყება, ჯესურის რაიონში წვიმამ დაანგრია ქალაქის ღარიბთა 10 ათასზე მეტი ბინა. სახლების კედლების ნანგრევებქვეშ დაიღუპა 12 კაცი. 100 ათასზე მეტი კაცი უსახლკაროდ დარჩა. წყალმა დატბორა ამ რაიონის ბრინჯის ნათესების 70 პროცენტი.**

● **ლაგოსი, 7 სექტემბერი. (საკდესი). წყალდიდობის შედეგად ნიგერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ შტატში უსახლკაროდ დარჩა დაახლოებით 450 ათასი კაცი. როგორც გაზეთი „მორნინგ პოსტი“ წერს, ეს წყალდიდობა გამოიწვია მრავალი დღის კოკისპირულმა წვიმებმა.**

სამხრეთ-აღმოსავლეთის შტატის ხელისუფლები ყოველ ღონეს ხმარობენ წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

ქომუნისტი

ეს-3 გვერდი, ოთხშაბათი, 9 სექტემბერი, 1970 წ.

საბჭოთა ხალხის საჩუქარი

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ნიუ-იორკის მახლობლად, „ეროუ პარკში“ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი პოეტების ა. ს. პუშკინისა და ტ. გ. შევჩენკოს ძეგლები. ეს ძეგლები საბჭოთა ხალხმა უძღვნა ამერიკელ მშრომელებს.

გახსნის ცერემონიას დაესწრო 8 ათასზე მეტი კაცი, უმთავრესად რუსული, უკრაინული, ბელორუსული წარმოშობისა.

დამსწრეთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკრაინის სსრ მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლები, მოსკოველი სტუმრები.

საზეიმო ცერემონიაზე გამოვიდნენ ამერიკის პროგრესული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს საბჭოთა ხალხს ძვირფასი საჩუქრისათვის და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს მოვლენა ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

„ეროუ პარკში“ გაისმოდა პუშკინისა და შევჩენკოს ლექსები. თავიანთი ხელოვნება უჩვენეს დამსწრეთ რუსული და უკრაინული წარმოშობის ამერიკელთა ცეკვისა და საგუნდო ანსამბლებმა.

ამერიკის შეერთებული შტატები

სადილი თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 8 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ნუქსეევი გვატყობინებს: **გუშინ პრეზიდენტმა ნიქსონმა თეთრ სახლში სადილზე მოიწვია ქვეყნის 200-მდე პროფკავშირული ლიდერი ამერიკის შეერთებული შტატების ტრადიციული დღესასწაულის „შრომის დღის“ გამო.** სადილზე იყვნენ კაბინეტის ზოგიერთი წევრი, ამერიკის შრომის ფედერაციის — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პროფკავშირული გაერთიანების თავმჯდომარე ჯ. მინი და მაღალი თანამდებობის პროფკავშირული ბოსები.

„დღესასწაული“ თეთრ სახლში მიმდინარეობდა მილიონობით ამერიკელი მშრომელის მძიმე მატერიალური გაჭირვების ვითარებაში. მთავრობის იმ პოლიტიკის შედეგად, რომელმაც მრეწველობის დაქვეითება გამოიწვია, ქვეყანაში ბობოქრობს განუწყვეტელი ინფლაცია. ეს აღიარა თავის განცხადებაში დღესასწაულის გამო შრომის მინისტრმა ჰოდგსონმაც. „ინფლაციამ, — განაცხადა მან, — გაუარესა ყველა ამერიკელის ოჯახის მდგომარეობა. მიმომხილველებმა გამოიანგარიშეს, რომ ყოველი მეოცე ამერიკელი მუშა უმუშევარია. ამერიკელ მშრომელთა გაშეთი „დელი უორლდი“ რესპუბლიკურ ადმინისტრაციასთან პროფკავშირული ზედაფენის ერთიანობას უწოდებს „ყველა ამერიკელი მუშის შეურაცხყოფას“.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ეს სადილი მოეწყო იმ პროფკავშირულ მოხელეთა დამუშავების ფართო კამპანიის ფარგლებში, რომელთა იმედიც აქვს რესპუბლიკურ მთავრობას კონგრესის მომავალ არჩევნებში.

ინდოეთი

ბრძანებულება ძალაში შედის

დელი, 8 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით ინდოეთის სამთავროთა ყოფილ მმართველებს ჩამოერთვათ ყოველგვარი პრივილეგიები და სახელმწიფო პენსიები. ეს გადაწყვეტილება, რომელიც გუშინ გამოაცხადეს ინდოეთის პარლამენტში დაუყოვნებლივ შედის ძალაში.

როგორც ცნობილია, პარლამენტის ამ საგაფხულო სესიაზე ინდოეთის მთავრობამ დასამტკიცებლად შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ინდოელ მთავართა პენსიებისა და პრივილეგიების გაუქმებას. ამ საკანონმდებლო აქტს მხარი დაუჭირა სახალხო პალატის დეპუტატთა დიდმა უმრავლესობამ, ზემო პალატაში — შტატების საბჭოში კი მემარჯვენე ოპოზიციის ხრიკების შედეგად მთავრობამ ვერ შეაგროვა ხმების საჭირო ორი მესამედი.

პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად მიიღეს, მიიჩნიათ ინდოეთის დემოკრატიული ძალების ახალ დიდ გამარჯვებად მემარჯვენე რეაქციაზე.

პარლამენტში გამართული კამათის დროს მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესისა და მემარცხენე დემოკრატიული პარტიების დეპუტატებმა მოიწონეს კანონპროექტი და საკუთარი ინიციატივით დაუჭირეს მხარი ინდირა განდის მთავრობას პროგრესულ სოციალურ-დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელების საქმეში.

ჩილე

ანტიიმპერიალისტურ პოზიციაზე

სანტიაგო, 8 სექტემბერი. (საკდესი). „ჩვენ გვინდა რომ ჩილე აღარ იყოს დამოკიდებული ქვეყანა ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში, და დავდგებით ანტიიმპერიალისტურ პოზიციას“, — განაცხადა აქ პრესკონფერენციაზე ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატმა სახალხო ერთობის ბლოკისგან, სოციალისტმა სალვადორ ალიენდემ, რომელმაც უველაზე მეტი ხმა მიიღო 4 სექტემბერს გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში. „ჩვენ განვახორციელებთ პატრიოტულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული ინტერესების დაცვას, ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ დაუბრუნონ ჩვენს ქვეყანას უცხოელთა ხელში არსებული მისი სიმდიდრეები“, — თქვა მან.

1944 წლის სექტემბერი... მეოთხე წელია ბულგარელი ხალხი ჰიტლერული ფაშიზმის უღელქვეშ გმინავს. მაგრამ ეს კიდევ უფრო ამძაფრებს თავისუფლების წყურვილს, და ხალხველი მტრის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა თავის უმაღლეს წერტილს აღწევს, და აი ამ დროს, ბულგარეთის მიწაწყალზე განმათავისუფლებელი მხედრები გამოჩნდნენ გმირი საბჭოთა არმიის ნაწილები საბჭოთა კავშირის მარშალ ტოლბუხინის მეთაურობით.

ელვისებურად გავრცელდა მოწოდება ბულგარელი ხალხისადმი: „წითელი არმია არ აპირებს ბულგარელების წინააღმდეგ ბრძოლას, რამდენადაც მას ბულგარელი ხალხი თავის მოძმე ხალხად მიაჩნია. წითელ არმიას ერთი ამოცანა აქვს — განადგუროს გერმანელები და დაიჭიროს საყოველთაო მშვიდობის დამყარება“.

ახალ ბულგარეთში

9 სექტემბერი ბულგარელი ხალხის თავისუფლების დღესასწაულია



და მართლაც საბჭოთა მეომრებს აღტაცებით, თანგულებით, ძმურად შეხვდნენ.

9 სექტემბრის ღამეს იფეთქა საყოველთაო აჯანყებამ, რომელმაც ბოლო მოუღო ჰიტლერელთა პარპაშს, ადგილობრივ ქურქგამოცვლილ ბურჟუაზიას და ძალაუფლება მშრომელებმა აიღეს ხელში. 9 სექტემბერი ისტორიულ დღედ, ახალი, სოციალისტური რესპუბლიკის დაბადების დღედ იქცა.

ახლა, 26 წლის შემდეგ, აყვავებულ ბულგარეთს რომ უყურებ, ძნელია წარმოიდგინო, თუ რა გაპარტახებისა და ეკონომიური, ჩამორჩენილობის პირობებში მოუხდათ ბულგარელებს თავიანთი ახალი ცხოვრების შენება დაწყება. „ბულგარეთი იმდენად გაღატაკებულია, რომ თანამედროვე ადამიანს ამის წარმოდგენაც არ ძალუძს. ეკონომიკის განვითარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იქ ნალიც კი არსად აედია. ყველაფერი, რაც არის, გარედან არის შეტანილი“ — ამბობდა 1945 წელს ერთ-ერთი უცხოური ფირმის წარმომადგენელი.

ის უცხოელი უდავოდ მართალი იყო: ბულგარელი ხალხისათვის მეტად მძიმე გამოდგა დამოუკიდებელი ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში, და დავდგებით ანტიიმპერიალისტურ პოზიციას“, — განაცხადა აქ პრესკონფერენციაზე ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატმა სახალხო ერთობის ბლოკისგან, სოციალისტმა სალვადორ ალიენდემ, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო 4 სექტემბრის გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში. „ჩვენ განვახორციელებთ პატრიოტულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული ინტერესების დაცვას, ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ დაუბრუნონ ჩვენს ქვეყანას უცხოელთა ხელში არსებული მისი სიმდიდრეები“, — თქვა მან.

ბულგარეთის მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ, პროგრესულმა ინტელიგენციამ გმირული შრომით ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ისეთი რეოლუციური გარდაქმნები განახორციელეს, რომელთა შედეგად ბულგარეთი თამამად ამოუდგა გვერდში მსოფლიოს მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოებს და მისმა ეკონომიურმა პოტენციალმა საერთაშორისო ასპარეზზე ჰპოვა აღიარება.

26 წელიწადია ზეიმობს ბულგარელი ხალხი 9 სექტემბრის დღესასწაულს. ყოველ ამ დღეს იგი აჯამებს მიღწეულ წარმატებებს და სახავს მომავლის ამოცანებს.

მომდინარე წელსაც ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სამეურნეო წლის ანგარიშით წარსდგა ხალხის წინაშე. მასში ბევრი საგულისხმო ციფრი მოყვანილი: საიუბილეო 1969 წელს ბულგარეთში წარმოებულ იქნა 17 მილიარდ 200 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია ნაცვლად დაგეგმილი 15 მილიარდ 251 მილიონისა; დღეს ბულგარეთი 88-ჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას უშვებს, ვიდრე 1939 წელს, ე. ი. 10 დღეში იძლევა იმდენს, რამდენსაც წინათ წელიწადში. მრეწველობის წილი ეროვნული შემოსავლის 50 პროცენტს შეადგენს. საამაყოა იმის აღნიშვნაც, რომ იმისათვის, რასაც წინათ ბულგარეთის მანქანათმშენებლობა მთელ წელიწადში იძლეოდა, ახლა სამი დღეც კი საკმარისია, ბოლო ქიმიურ მრეწველობაში — ორი დღე.

იმის შედეგად, რომ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა თანმიმდევრულად სრულყოფენ სახალხო მეურნეობის მართვის მეთოდებს, მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა. სოფლის კოოპერაციულმა სისტემამ, მეურნეობის გამსხვილებამ უზრუნველყო ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს თითქმის სრული მექანიზაცია, რამაც განაპირობა ხორბლის წარმოების ზრდა 2,8-ჯერ, სიმინდისა — 2,5-ჯერ, ქერისა — 1,7-ჯერ, ბოსტნეულისა — 86 პროცენტით.

ბულგარეთის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენები იყო ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის სექტემბრისა და 1970 წლის აპრილის პლენუმები, რომლებმაც განსაზღვრეს ორი ძირითადი ამოცანა — სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრობლემის თანმიმდევრულად გადაწყვეტა, რაც ეკონომიკის შემდგომი განვითარების მთავარი პირობაა, და აგროსამრეწველო კომპლექსის შექმნა, რაც ნიშნავს სასოფლო - სამეურნეო წარმოების შემდგომ კონცენტრაციას, მეცნიერებისა და მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას სამრეწველო საფუძველზე.

ეკონომიური წარმატებანი უშუალო გავლენას ახდენენ ბულგარელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე. წლითიწლობით იზრდება მშრომელთა რეალური ხელფასი, ფართოვდება მოხმარება, საცხოვრებელი ბინების, საავადმყოფოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობა.

ყველა ამ გარდაქმნებს და მიღწევებს სოფლად თუ ქალაქად ბულგარელები უმადლიან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ხალხებს.

ძნელია მოინახოს ეკონომიური თუ კულტურული ცხოვრების რაიმე სფერო როგორც ბულგარეთში, ისე საბჭოთა კავშირში, რომ იქ არ ხორციელდებოდეს მჭიდრო, მეგობრული ურთიერთთანამშრომლობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება და პრაქტიკული დახმარება. მაგალითად, დღეს ორივე ქვეყნის თავისი პროფილის მიხედვით მონათესავე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროები ერთობლივად ამუშავებენ 240 სამეცნიერო თემას.

სახალხო ბულგარეთის თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ამოცანების განხორციელებაში, რაც ძირითადად გულისხმობს სოციალისტური ინტეგრაციის გაფართოებას, მათ შორის ენერგეტიკის განვითარებას.

ბულგარეთის სოციალისტურ რესპუბლიკას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალისტური სისტემის ქვეყნების ერთობლივ ბრძოლაში ევროპის უშიშროების უზრუნველყოფად.

ბულგარელი მშრომელები ზეიმის დღეებში წარსულს რომ იგონებენ, დიდებით მოსავენ იმ საბჭოთა მეომრების სახელებს, რომლებმაც თავი დადეს მათი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, და რომელთა ძმობის ამბავს სიყვარულით გადასცემენ თაობებს.

დღეს ბულგარეთის მიწაწყალზე დიდი სახალხო ზეიმია, და დარწმუნებული ვართ — თვითეული ბულგარელი გულითად მადლობას უძღვნის თავის ერთგულ მეგობარს — საბჭოთა ხალხს, რომლის მხარდამხარ მიდის იგი ბედნიერი მომავლის გზით.

ბ. სამსონაძე.

სურათზე: „ოქროს ნაპირი“ — ცნობილი კურორტი შავ ზღვაზე, ვარნის მახლობლად. კომფორტაბელური, თანამედროვე სტილით ნაგები ოტელები, კეთილმოწყობილი პლაჟი აქ მრავალ ტურისტს იზიდავს.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში



კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. ელექტროენერგიის მრეწველობის მუშაკებს მთავრობამ დაუსახა მნიშვნელოვანი ამოცანა — სოფლის რაიონების ელექტრიფიკაცია დაამთავრონ 1970 წელს. ეს რესპუბლიკას საშუალებას მისცემს განავითაროს და გააფართოოს სოფლის მეურნეობის ირიგაცია და მექანიზაცია, წარმატებით აწარმოოს სოციალისტური სოფლის კულტურული მშენებლობა.

სურათებზე: მარცხნივ — მემონტაჟეები ამთავრებენ ახალი მოწყობილობის დადგმას ელექტროგანმანაწილებელ სადგურში; მარჯვნივ — ქალაქ ხამხინში.

ფოტო ცტაკ-საკდესისა.

ექიმთა ბრიგადა იალალებზე

ადიგენი, კმაყოფილებით შეხვდნენ ფერსათის მთის საზაფხულო ბალაღებზე მყოფი რაიონის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმების მუშაკები ექიმთა ბრიგადას, ექიმებმა მ. მერაბიშვილმა და გ. კაპანაძემ საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეებისათვის გულდასმით განახორციელეს სანიტარულ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი, გამართეს ლექცია-საუბრები და შექმნეს სანიტარული საგუშაგოები.

ადიგენის რაიასაავადმყოფოს მედპერსონალმა გადაწყვიტა საძოვრებზე მყოფ საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეებს გაუწიონ სისტემატური დახმარება და კონსულტაციები. (საქდესი).

ერთი ღამე არაგვის ტალღებში

დუშეთი. (საქ. კორ.) „გაზ-69“ მარკის ავტომანქანაში შვიდნი ისხდნენ, ისინი ჭართლის ხეგვლმა უბანში მიიჩქაროდნენ, არც არაფერი უშლიდათ ხელს. მიუხედავად ძლიერი წვიმისა, ხევის წყალს გაცოფება ვერ მოესწრო, მაგრამ მდინარეში რომ შევიდნენ, მოულოდნელად უბედურება დატრიალდა...

თურმე მთაში ხევის წყალი მეწყერს ჩაეკეტა და თანდათან გუბდებოდა, ბოლოს, როცა იგი მოზრდილ ტბად იქცა, ჭებირი გაირღვა და წყალი დვარქაფად დაეშვა ბარში. გაცოფებულმა ტალღებმა, რომელსაც უზარმაზარი ქვები მოჰქონდა, გადააბრუნა ავტომანქანა, ღამის სიბნელეში არაფერი არ ჩანდა, სამშვიდობოს მხოლოდ ხუთი კაცი აღმოჩნდა, აღარ ჩანდნენ ექიმის თანაშემწე თამარ ბალაშვილი (იგი მეორე დღეს იპოვეს დამბრჩვალი ჭართლიდან სამოიოდე კილომეტრზე, მდინარე არაგვში) და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ნაზი გოგიშვილი.

გალვეებზე ვიღაცამ თვალი მოპკრა ქალს, რომელიც მოგლეჯილ ხის ტოტებს ჩასჭიდებოდა, ტალღები ხეს არაგვისაკენ მიაქანებდნენ.

დასახმარებლად შეგროვდნენ სოფლის თავკაცები, მაგრამ განუწყვეტელ წვიმასა და ჭექა-ქუხილში ბევრს ვერას გახდნენ, წყალი კი კვლავ მატულობდა და ვეებერთელა ქვებს მოაგორებდა. გაშმაგდა არაგვიც. საზარელ ხმაურში გაისმა ქალის შორეული კივილი. მშობლებმა თავიანთი ქალიშვილის ხმა იცნეს. იგი ხეს პატარა კუნძულზე მიეგდო

ახა წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა! რაღაც სამასი მეტრის დაშორებით მათი პირმშო იღუპებოდა, ეველა კი არ შეეძლოთ.

ივუკაცა მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირმა, მამაცმა მწყემსმა გოგი წიკლაურმა. იგი უკუნეთ სიბნელეში გაგიჟებულ არაგვს შეებრძოლა, მას მიჰყვა ფასანაურელი მოსწავლე ვახტანგ ქავთარაძე. კივილზე ისინი, ნაზის მეუახლოვდნენ, ტახსაცმელი მიუტანეს და მერე სამივემ მთელი ღამე იმ პატარა კუნძულზე გაატარა.

გათენებისას არჩილ გოგიშვილმა თავისი ბულდოზერით ისინი სამშვიდობოს გაიყვანა. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

პატარა კუნძული კი, რომელმაც უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქალიშვილი გადაარჩინა, ბულდოზერის წასვლისთანავე ერთობამად დაიშალა და არაგვის ტალღებში გაუჩინარდა.

ა. თომაძე.

ასტრონომთა საერთაშორისო ასამბლეაზე

ქართველი მეცნიერის სახელი — მთვარის კრატერს



ინგლისის ქალაქ ბრაიტონში, ახლად დაარსებულ სასეკესის უნივერსიტეტში შედგა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის მორიგი — მეთოთხმეტე გენერალური ასამბლეა. კავშირი, რომელმაც შარშან თავისი მოღვაწეობის ნახევარი საუკუნე აღნიშნა, ამჟამად იერთიანებს ჩვენი პლანეტის 44 სახელმწიფოს. იგი პერიოდულად ისმენს ასტრონომიული მუშაობის ანგარიშებს და წმინდა მეცნიერულ-კვლევითს პრობლემებთან ერთად საკოორდინაციო და სოორგანიზაციო საკითხებსაც განიხილავს. ასტრონომიულ მეცნიერებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ფართო მასშტაბის მრავალფეროვანი დამზერები და ერთობ დიდი რაოდენობის ობიექტების კატალომიზაცია, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად აუცილებელია საერთაშორისო კოორდინაცია და ორგანიზებული გადაწყვეტილებები, ვიდრე ბევრ სხვა საბუნებისმეტყველო დარგში.

ასამბლეაზე 2.000-მდე დელეგატი და მიწვეული მონაწილეობდა. ასამბლეა მუშაობდა რორგორც პლენარული სახით, ისე დარგობრივად გაერთიანებული დისკუსიების წესით. მუშაობა მიმდინარეობდა ავრეთვე ცალკეულ სექციებში, რომელთაც იქ კომისიებს უწოდებენ. მათი რიცხვი ორმოცს აღწევს. მათ შორის არის ახლად ჩამოყალიბებული სექციებიც. ასეთია, მაგალითად, გარეკმოსფერული ასტრონომიის, რადიოასტრონომიის სექციები და სხვ. ამ ბოლო დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა და სათანადოდ რიცხობრივადაც გაიზარდა მთვარისა და ცითმილთა სექციები, რაც კოსმონავტიკის განვითარებასთან არის დაკავშირებული.

მთვარის შესწავლის სექციის საორგანიზაციო მუშაობის ერთ-ერთ საგნს წარმოადგენდა მთვარის რელიეფის ახლად ფიქსირებული დეტალებისათვის (კრატერებისათვის) სახელების მიკუთვნება. ამ საგანზე წინასწარი სამზადისი ჩაატარეს მთვარის ნომენკლატურის ეროვნულმა სამუშაო ჯგუფებმა. საბჭოთა კავშირში ასეთ სამუშაო ჯგუფს აკადემიკოსი ა. მიხაილოვი და პროფესორი ბ. ლევინი ხელმძღვანელობდნენ. ახლა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის სექციამ საბოლოოდ შეთანხმებული პროექტი წარუდგინა ასამბლეას, რომელმაც დაამტკიცა კიდეც იგი.

მთვარის განსაკუთრებულ რუკაზე სათანადო კოორდინატთა სისტემაში ფიქსირებულია ხუთასზე მეტი მთვარის უკანა მხარის ზედაპირული წარმონაქმნი — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კოსმონავტიკური მეცნიერების მეშვეობით აღმოჩენილი. მათ მიეკუთვნათ სხვადასხვა ქვეყნის გარდაცვლილ გამოჩენილ მეცნიერთა (უმთავრესად ასტრონომთა და ბუნებისმეტყველთა) და კოსმონავტიკისა და რაკეტული ტექნიკის მოღვაწეთა სახელები.

ერთ-ერთ კრატერს, რომელიც მთვარის ბადრის აღმოსავლეთის კიდის ახლო მდებარეობს მთვარის ეკვატორის ჩრდილოეთიდან 45 გრადუსით დაშორებულ ბუნებში, ეწოდა აბასთუმნის ობსერვატორიის ყოფილი თანამშრომლის ქართველი ასტროფიზიკოსის მიხეილ ვაშაკიძის სახელი (გარდაიცვალა 1956 წელს).

მსოფლიოს პირველი კოსმონავტის — ი. გაგარინის სახელი დაუმტკიცდა ერთ-ერთ დიდ კრატერს მთვარის სამხრეთ ნახევარსფეროში. უკვდავი დამსახურების აღნიშვნის მიზნით ასამბლეამ, გამონაკლისის წესით, ცოცხალი კოსმონავტების სახელები უწოდა 12 კრატერს, ექვსს ამერიკელი კოსმონავტებისა, რომელთაც პირველებმა შემოუფრინეს მთვარეს და დაეშვნენ მთვარეზე, ექვსს — საბჭოთა კოსმონავტებისა, რომელთა შორის არიან **გ. ტიტოვი** (პირველი სრული დღეღამური ხანგრძლივობის კოსმოსური ფრენა,) **ვ. ტერეშკოვა** (პირველი კოსმონავტი-ქალი), **კ. ფეოქტისტოვი** (პირველი კოსმონავტი-მეცნიერი), **ა. ლეონოვი** (პირველი კოსმონავტი, რომელმაც ხომალდიდან ღია კოსმოსური სივრცეში გავიდა), **ვ. შატალოვი** (პირველმა განახორციელა კოსმოსური ხომალდების შეპირაპირება ფრენაში), **ნ. ნიკოლაევი** (რეკორდული ხანგრძლივობის ფრენა).

ასამბლეაზე ბევრი საინტერესო მოხსენება იქნა მოსმენილი თანამედროვე ასტრონომიის სხვადასხვა დარგიდან. ცხარე დისკუსიები გაიმართა პლანეტების წარმოშობა-ევოლუციის საკითხებზე. დეტალურად გააარჩიეს ის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროა იმისათვის, რომ თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად დაზუსტდეს გალაქტიკური მანძილების სკალა, მზის დამორება გალაქტიკის ცენტრიდან, გალაქტიკის განფენილობა და სხვ.

ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება იშუამდგომლოს იუნესკოს წინაშე, რათა 1973 წელი, როცა კოპერნიკის დაბადებიდან 500 წელი სრულდება, გამოცხადდეს **კოპერნიკის წლად.** ამავე გადაწყვეტილებით პოლონეთში იმ დროს მოწვეული იქნება საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის საგანგებო გენერალური ასამბლეა.

უკანასკნელ სხდომაზე ასამბლეამ ახალი წევრები მიიღო საერთაშორისო ასტრონომიულ კავშირში. მათ შორის არიან ინდოეთის ობსერვატორიის მეცნიერი თანამშრომელი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები **ც. ხეცურიანი** და **ლ. ფიშკოვა,** თბილისის უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ნინო მაღნარაძე,** რომელიც ამასთანავე არჩეულ იქნა ცის მექანიკის სექციის წევრად.

იმავე დღეებში სასეკესის უნივერსიტეტში ჩატარდა ასტრონომიისა და ფიზიკის დარგის ოთხი გამოჩენილი მეცნიერისათვის უნივერსიტეტის დოქტორის საპატიო წოდების მინიჭების ცერემონია. სხვებს შორის ასეთი წოდება მიენიჭა ჩვენი დელეგაციის წევრს, ცნობილ ფიზიკოსს, აკადემიკოს **ვ. გინზბურგს.**

სასეკესის უნივერსიტეტს ჯერ 10 წელიც არ შესრულებია. ფაკულტეტებისა და სტუდენტთა რაოდენობითაც არ მიეღწევია გამიზნულ დონემდე, მაგრამ მისი განლაგება, არქიტექტურა და მოწყობილობა შესანიშნავია. უნივერსიტეტი ქალაქს 8 კილომეტრით არის დაშორებული, მდებარეობს მწვანე ბალახით შემოსილ მყუდრო, ვრცელ ტერიტორიაზე (300 ჰექტარი); შენობები, რომელთაგან ზოგი ჯერ დამთავრებულიც კი არ არის. ცალ-ცალკეა განლაგებული; აუდიტორიები კარგად მოწყობილია შუქდაფებით, სპაროექტიო აპარატურით, კონდიციონერებით, ტელევიზორებით, აუსტიკური საშუალებებითა და ელექტრული გათბობით. ყურადღებას იპყრობს მშენებლობის სიადავე.

მაგრამ ამ კარგთან ერთად ზოგი ცუდი შეიმჩნევა. მე მხედველობაში მყავს უზომოდ გრძელი, მხრებამდე დაშვებული თმით შემოსილი, ბაკენბარდებით სახეშეცვლილი სტუდენტი-ვაჟები. ისინი ჩაცმულობითაც ისე გამოიყურებიან, რომ ძნელად დაიჯერებ — უნივერსიტეტში ხარ, ინტელექტუალურ არსებათა შორის, რომელთათვის მთვარი სწავლა და ცოდნა უნდა იყოს, თუ იმ ადამიანთა შორის, ვისი მოსწრაფებაა რაც შეიძლება მეტად დაემსგავსონ ტყის კაცს.

ე. ხარაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ასტრონომიის სსრ-ოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი.

* * *

ხურამზე: მთვარის სპეციალური რუკის მონაკვეთი, რომელშიც აღნიშნულია „ვაშაკიძის კრატერი“.

ერეკლე ბურჭულაძე



მოულოდნელად გარდაიცვალა მეცნიერების დაშასხურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ერეკლე ბურჭულაძე.

ე. ბურჭულაძე დაიბადა 1901 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამებაში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

შრომითს საქმიანობას შეუდგა ადრე, სოფლის ორკლასიანი სკოლის დამთავრებისთანავე. 1924 წელს საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. 1924-1928 წლებში მუშაობდა ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებში შრომის სკოლების გამგედ. 1928 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დატოვებულ იქნა ასპირანტურაში, რომლის კურსი წარმატებით დასრულა 1934 წელს.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე.

1935 წელს დანიშნულ იქნა ქ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანად, სადაც მუშაობდა 1937 წლამდე. 1937-1939 წლებში მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრად.

1939 წ. ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1939-1947 წლებში ე. ბურჭულაძე მუშაობდა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელმობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად და ამავე ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ.

1947 წელს მივლინებულ იქნა ქ. მოსკოვში დოქტორანტურაში, სადაც აკადემიკოს ე. ტარლეს ხელმძღვანელობით 1950 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1950-1953 წლებში მუშაობას განაგრძობს პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ. 1953-1954 წლებში პროფესორი ე. ბურჭულაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია. 1954-1957 წლებში მუშაობს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ სკოლაში პროფესორის თანამდებობაზე. 1957 წელს, მუშაობს საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტში ისტორიის კათედრაზე, ხოლო 1968 წლიდან მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორად.

1921-1928 წლებში აქტიურ მუშაობას ეწევა საქართველოს ლენინური კომკავშირის რიგებში, ხოლო 1928 წლიდან სკკპ წევრად.

დიდ საზოგადებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად პროფესორი ე. ბურჭულაძე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწეოდა. იგი 50-მდე ნაბეჭდი შრომის ავტორია, ამათგან 10-ზე მეტი მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევაა. მის მიერ დამუშავებული საკითხები გამოირჩევა აქტუალობით, პრინციპულობით და მეცნიერული სიღრმით.

პროფესორი ე. ბურჭულაძე იყო საქართველოს სსრ I და III მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, არჩეული იყო საქართველოს კპ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების შემადგენლობაში. პარტიამ და მთავრობამ დირსეულად დააფასეს პროფესორ ე. ბურჭულაძის დვაწლი, მას მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, 1962 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

პროფესორი ე. ბურჭულაძე „თეული წლების მანძილზე ეწეოდა დიდ პედაგოგიურ მუშაობას და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას. აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და საკვლევი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში. პროფესორ ე. ბურჭულაძის ხელმძღვანეობით აღიზარდნენ ახალგაზრდა მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კადრები. როგორც პედაგოგი და მეცნიერი იგი დამსახურებული პატივისცემით და ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტ ახალგაზრდობაში.

პროფესორ ე. ბურჭულაძის მიერ განვლილი გზა, მოღვაწეობა პედაგოგურ, საზოგადოებრივ ასპარეზზე და მეცნიერული კვლევის საქმეში სანიმუშო და მისაბაძია ახალგაზრდობისათვის.

შესანიშნავი პედაგოგის, მეცნიერისა და ამხანაგის ნათელი სახე მუდამ იცოცხლებს მის მეგობართა და მრავალრიცხოვან აღზრდილთა ხსოვნაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი.

პროფესორ ე. ბურჭულაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 9 სექტემბერს სადამის 8 საათზე განსვენებულის ბინაზე, ათარბეგოვის ქუჩა № 33.

კუბო ე. ბურჭულაძის ნეშტით 10 სექტემბერს 3 საათზე დასვენებულ იქნება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაციულ კორპუსში (ლენინის ქ. № 78).

გამოსვენება 4 საათზე, დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ СССР

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ V ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სპორტსმენი, მწვრთნელი, ექიმი

სპორტული წვრთნა ფართო გაგებით წარმოადგენს მეტად რთულ ფიზიოლოგიურ და პედაგოგიურ პროცესს, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენს ერთი მხრივ ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის განმტკიცება, მეორე მხრივ კი სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მოვარჯიშეთა ყოვლისმხრივი მომზადება და ამის საფუძველზე სტაბილურად მაღალი შედეგების მოპოვება.

წვრთნის რაციონალურად განხორციელების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის, მწვრთნელისა და ექიმის შეთანხმებულ მუშაობას, უზმისად მაღალი სპორტული შედეგების მოპოვება ეპიზოდური ხდება.

როდესაც ვლაპარაკობთ სპორტსმენის ყოველმხრივ მომზადებაზე, ვგულისხმობთ, რომ იგი მომზადებულია ფიზიკურად, ე. ი. აქვს სათანადოდ განვითარებული ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა...

მეორე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი სპორტსმენის საერთო მომზადებაში ტექნიკური მომზადება გახლავთ. მაგრამ, როგორც უკანასკნელი წლების მეცნიერული გამოკვლევები მოწმობენ, გარდა ამ ფაქტორებისა, თანამედროვეს სპორტულ წვრთნაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ფსიქოლოგიურ მომზადებასაც, რაც პირველ რიგში მორალურ-ნებითი თვისებების (ინიციატივა, დისციპლინა, გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, გამბედაობა) აღზრდას გულისხმობს.

წვრთნის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თვითეული სპორტსმენისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის დაცვას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი მწვრთნელი და ექიმი, თვით სპორტსმენიც ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს.

როდესაც ვლაპარაკობთ ფიზიკურ კულტურაზე და სპორტზე, როგორც ადამიანის ფიზიკური აღზრდის მძლავრ საშუალებაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საქმეში მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებს სამედიცინო მეცნიერება, კერძოდ კი სპორტული მედიცინა.

მრავალი კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგენილია მთელი რიგი კანონზომიერებანი, რომლებიც მყარდება სპორტსმენის ორგანიზმში მის ცალკეულ ორგანოთა სისტემების მორფოლოგიური მაჩვენებლების მხრივ სისტემატური ფიზიკური ვარჯიშის შედეგად.

ექიმი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს სპორტული ფორმის მდგომარეობის შემოწმების თვალსაზრისით სპორტული წვრთნისა და შეჯიბრების შემდეგ აღდგენის, ანუ დასვენების პერიოდზე დაკვირვებას. სპორტსმენის ორგანიზმის გავარჯიშებასთან დაკავშირებით გარკვეულად იცვლება (მოკლდება) აღდგენითი პროცესის დინამიკა, რაც ფიზიკურ დატვირთვებს შორის არსებული დასვენების ინტერვალების შემოკლების საშუალებას იძლევა. ექიმსა და მწვრთნელს უნდა ახსოვდეთ, რომ დიდი ფიზიკური დატვირთვების შემდეგ კარგად გავარჯიშებულ სპორტსმენთა შორის ხშირად რამდენიმე დღე შეიძლება გაგრძელდეს ორგანიზმის მხრივ შეცვლილი ფუნქციების საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, რაც ყოველთვის უნდა იქნას მხედველობაში მიღებული წვრთნაში ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის გატარების დროს.

სპორტსმენთა საექიმო შემოწმების შემთხვევაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ეხება სპორტსმენის ორგანოთა სისტემების ფუნქციური შესაძლებლობისა და ფუნქციური მდგომარეობის სწორ შეფასებას.

ექიმმა და მწვრთნელმა უნდა იცოდნენ, რომ სპორტსმენს შეიძლება ჰქონდეს ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ მისი სასუნთქი აპარატი არ იყოს გაწვრთნილი, ან პირიქით.

საექიმო შემოწმების შედეგად მიღებული მაღალი ფუნქციური მაჩვენებლები სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სპორტსმენი აჩვენებს მაღალ სპორტულ შედეგს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ სწრაფად წარმოებული წვრთნითა და გავარჯიშების მაღალი დონით შეიძლება იქნას მიღწეული.

ბევრ მწვრთნელს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ პათოლოგიიდან სპორტსმენთა შორის მხოლოდ ტრავმა (მოტეხილობა, დაჭეთლობა, გაჭიმვა და სხვა) გვხვდება. რაც შეეხება სხვა ორგანოთა დაზიანებას, რომელიც ხშირად დაძაბული კუნთური მუშაობით შეიძლება იყოს განპირობებული, სპორტსმენებს შორის თითქოს არ უნდა გვხვდებოდეს.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების, მწვრთნელებისა და ექიმების წინაშე დღეს მეტად პასუხსაგები ამოცანა დგას. დღის წესრიგშია სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა. იმისათვის, რომ სპორტსმენთა ამ დიდ ფორუმში ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ მოიპოვოს საპატიო ადგილი, საჭიროა დარჩენილ დროში სპორტსმენების, მწვრთნელებისა და ექიმების მიერ ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ თვითეულ სახეობაში ნაკრები გუნდები შეჯიბრებისათვის სათანადოდ მომზადებულნი აღმოჩნდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის დიდი ხანია დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა, მაინც მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება სპორტის სახეობების მიხედვით ფედერაციებს, მწვრთნელთა საბჭოებისა და საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების ერთობლივ მუშაობას, ჯერ კიდევ მოითხოვს დაზუსტებას. საჭიროა ვფიცადოთ, რომ დარჩენილ დროში სპორტსმენთა, მწვრთნელთა და ექიმების საქმიანობა წარიმართოს ისე, რომ მათ შორის დამყარდეს უფრო მჭიდრო კონტაქტი და ურთიერთგაგება, რაც ერთ-ერთი ძირითადი საწინდარი იქნება მაღალი სპორტული შედეგების მოსაპოვებლად.

რ. სვანიშვილი,

რესპუბლიკის საექიმო-ფიზკულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკავშირო სპორტული მედიცინის ფედერაციის საბჭოს წევრი.

ენგელსის სახელობის პიკზე

□

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲐᲕᲚᲘ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲚᲓᲔᲖᲔ ᲛᲝᲪᲘᲪᲐᲕᲐᲓ

□

საბჭოთა პამირის ერთ-ერთ მწვერვალს ფრიდრიხ ენგელსის სახელი ჰქვია. მისი სიმაღლე 6.510 მეტრია. მარშრუტების სიართულის გამო ენგელსის პიკი ყოველწლიურად სულ უფრო პოპულარული ხდება ალპინიზმის ოსტატთა შორის.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის ბორის რომანოვის აზრით, რომელიც 1968 წელს მწვერვალზე ავიდა ციცაბო თხემით, პიკზე ასასვლელი მარშრუტები შეესაბამება კლასიკურ ალპიურ მარშრუტებს, კერძოდ პტი-დრიუს დასავლეთ კედლისა და გრანდ-ჟერარის კედლის ტიპისას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ დიდ სიმაღლესაც, რომელზეც პიკის ციცაბო კედლებია, მაშინ მათზე ასვლა უნდა მივაკუთვნოთ არა მარტო ტექნიკურად რთულ კლასს, არამედ მაღლივ ასვლებსაც.

წელს ნოემბერში სრულდება ფრ. ენგელსის დაბადების 150 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად მისი სახელობის პიკზე ასვლაში მოახდინეს კიეველმა, დუშანბელმა, კუიბიშეველმა და ნოვოსიბირსკელმა ალპინისტებმა. ნოვოსიბირსკის ჯგუფში იყო საკადესის ფოტოკორესპონდენტი ბ. პოლიაკოვი, რომელმაც გადაიღო ეს სურათები.

ნოვოსიბირსკის მოდელების საქალაქო სახლში მუშაობს ჩვენი თანამემამულე მურად ᲔᲘᲕᲘᲜᲐᲫᲔ. იგი ექსპედიციაში საუკეთესო კლდეზე მცოცავად ითვლებოდა. მას თქვენ ზემო სურათზე ხედავთ. ქვემო ფოტოზე კი აღბეჭდილი არიან ექსპედიციის სხვა მონაწილენი ლაშქრობის შემდეგ.

„ბერნარდო პიკორნელის“ აუზში

ბარსელონის „ბერნარდო პიკორნელის“ აუზში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომისა და წყალბურთში.

ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი მოსკოველი გალინა სტეპანოვა უძლიერესი იყო 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში — 1.15,6. ვაჟთათვის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა შვედმა გ. ლარსონმა —

საზღვარგარეთის სტადიონებზე

როსტოკი. საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ზოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით 5:0 (1:0). შეხვედრას სჯიდა მოსკოველი არბიტრი ი. ბოჩაროვი.

ვარშავა. სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი „შეგობრობის“ პრიზისათვის ბრძოლის მეორე მატჩში შეხვდა პოლონეთის მეორე ნაკრებს, დამარცხდა 1:2 (0:2) და ფაქტიურად დაკარგა ფინალში მოხვედრის შესაძლებლობა.

ციურიხი. ოთხმოცდაოთხმა ქვეყანამ განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღოს ფეხბურთელთა გუნდების ოლიმპიურ ტურნირში. ფინალი 16 გუნდის მონაწილეობით შედგება დასავლეთ გერმანიაში. შესარჩევ შეხვედრებს არ გაიელიან უხვრეთისა და გფრ-ის გუნდები, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი და მასპინძლები. წინასწარი მატჩების წელისყრა შედგება 25-26 სექტემბერს მიუნხენში.

4.02,6. 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში ევროპის ახალი რეკორდი (57,5 წამი) დაამყარა ჰ. ლიამპერ (გფრ). ამავე დისტანციაზე ქალთა შორის თავისუფალი სტილით ცურვაში უძლიერესი იყო გ. ვეტცკო — 59,6 (გდრ). ესეც ევროპის ახალი რეკორდია. წყალბურთელთა ასპარეზობის მორიგ მატჩში საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ფინეთის გუნდი 12:0 და ფინალში გავიდა.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში „ცსკა“-სა და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის. შეხვედრის შედეგია ფრე — 0:0.

ოლიმპიადა ზიგენში

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ზიგენში გრძელდება საჭადრაკო ოლიმპიადის ნახევარფინალური ტურნირი ვაჟთა გუნდებისათვის. მესამე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს მონაკოს გუნდი 4:0. ჩვენს გუნდში იყვნენ ბ. სპასკი, ლ. პოლუგაევსკი, ვ. სმისლოვი და ე. გელერი. საბჭოთა ნაკრებს 10 ქულა აქვს და პირველ შესარჩევ ჯგუფში ლიდერია. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს ბრაზილიელებთან ანგარიში მოჰყავს 2:0. ეს ორი პარტია მოიგეს რ. ფიშერმა და ს. რეშევსკიმ.

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲚ ᲛᲔᲔᲫᲕᲡᲔ

პოლონეთის ქალაქ ვროცლავში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი სპიდვეიში (მოტორბოლა წყდიან ბილეკზე). ოქროს მედალი მესამეჯერ მოიპოვა ახალზელანდიელმა ი. მოეგმ. თბილისელი ვ. კლემენტიევი ამჯერად მეექვსე იყო. ორმა დანარჩენმა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. გორდეევმა და გ. კურილენკომ თანმიმდევრულად მეცამეტე და მეთოთხმეტე ადგილები დაიკავეს.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

შ. მ. ბუგიანიშვილი- მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კლინიკური ლაბორატორიული დიაგნოსტიკის დოცენტმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა **შუშანა მარკოზის** ასულმა ბუგიანიშვილმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თ